გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას! პარტიის ძალაა ხალხთან ერთიანობა! ხალხის ძალაა პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 83
(6894)
30
1981 წ.
აპრილი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ვეგებებით პირველ მაისს

დიდი მზადებაა ყველგან გაზაფხულის, მშვიდობის, სიჭაბუკის დღესასწაულის — 1 მაისის ღირსეულად, ლამაზად შესახვედრად.

კოხტავდება ქუჩები და მოედნები, სკვერები და ბაღები. ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი სწორედ სამაისოდ ხსნის სეზონს. აქ ბევრი რამ სასიკეთო კეთდება. მისასალმებელია, რომ პარკის დირექცია არ ივიწყებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს: არსებული სპორტული მოედნები შეკეთების შემდეგ განახლებული ხვდება დამსვენებლებს. აქ გაიმართება ასპარეზობანი კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში, სულ მალე მოეწყობა საჭყუმპალაო ნორჩებისთვის.

ВЫШЕ
ЗНАМЯ
Советского
СПОРТА!

სურათებზე, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა გუშინ გადაიღო, საპირველმაისო მზადების მომენტებია აღბეჭდილი: ასე გამოიყურება განახლებული კალათბურთის მოედანი და მისი ერთ-ერთი კუთხე; აქ გაიმართება ქართული ჭიდაობის მოყვარულთა შერკინებანი; მშენებლები დიდი გულისყურითა და სიყვარულით აწყობენ საჭყუმპალაოს.

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

არმიელმა სამბისტებმა გაგვახარეს

რიგაში გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადგუნდური პირველობა სამბოში. სარბიელზე გამოვიდა 9 გუნდის 150-მდე მოჭიდავე. წარმატებით იასპარეზეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა და გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს.

ამიერკავკასიელთა ნაკრები, რომელიც მთლიანად თბილისის არმიის სპორტკლუბის სამბისტებით იყო დაკომპლექტებული, მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა **გ. კახაბრიშვილმა და ს. ფეიქრიშვილმა.**

— რიგაში მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, — გვითხრა გ. კახაბრიშვილმა, — მონაწილეთა შორის იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი სამბისტები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები, მით უფრო სასიხარულოა ჩვენი გუნდის წარმატება. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო **ნოდარ მალვენიშვილისა** (82 კგ) და **დავით მალალთაძის** (90) კარგი გამოსვლა. **ორივე მოჭიდავემ დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და ოქროს მედალი მოიპოვა.** ფინალში მალვენიშვილის მეტოქე იყო მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონი მიხეილ რამაზანოვი (ბელორუსიის სამხედრო ოლქი). ქართველი მოჭიდავე არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეს და ქულებით დაამარცხა. გადამწყვეტ შეხვედრაში მალალთაძესაც ტიტულიანი მოწინააღმდეგე ჰყავდა — სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ვიტალი ბიჩიწოკი. დავითმა ტაქტიკურად სწორად წარმართა ბრძოლა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

68 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა **ვანო ობგაიძემ,** ხოლო **ვაჟა მინესაშვილი** (48) III ადგილზე გავიდა. მათ გარდა გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს იოსებ როსტიაშვილმა (48), დავით ჯუგაშვილმა (57), ამირან წიკლაურმა (74) და სხვებმა. შვიდივე ქართველი მოჭიდავე შეიარაღებული ძალების ნაკრებში შეიყვანეს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში ალმა-ათაში გაიმართება.

მეცადინეობენ მწვრთნელები

საქართველოს სპორტკომიტეტში მოეწყო საწარმოო სწავლება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მწვრთნელები და უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის მეთოდისტები. მეცადინეობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტიანობის, სპორტსმენთა ოსტატობის დონის გაუმჯობესების საკითხებს. მწვრთნელები გაეცნენ ახალ სპორტულ ლიტერატურას.

„ყოველნაირად განვავითაროთ და სრულვყოთ მშრომელთა დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზაცია, გავაფართოოთ ბავშვებთან ერთად მშრომელთა ერთობლივი დასვენებისა და მკურნალობის შესაძლებლობანი. გავაუმჯობესოთ საექსკურსიო მომსახურება“.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებიდან.

გიყვარდეს თავი შენი!

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

●

რა სიკეთეზე ვამბობთ უარს

ტურიზმის სიკეთეზე ბევრი თქმულა და დაწერილა, და მაინც ღირს მასზე კვლავ რომ ითქვას. ამას მაიძულებს საკუთარი ჯანმრთელობისადმი ის აუხსნელი გულგრილობა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა უმრავლესობა იჩენს.

არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში და საზოგადოებაში იმდენი დადგენილება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ საშუალებაზე— ტურიზმზე არ მიუღიათ ზემდგომ ორგანოებს, რამდენიც ჩვენს ქვეყანაშია. მაგრამ, ამასთანავე, ალბათ ძნელია დაასახელო სხვა რომელიმე რესპუბლიკა, სადაც თვით მოსახლეობა ასე ნაკლებად იყენებდეს „ზემოდან“ შემოთავაზებულ ამ დიდ სიკეთეს.

ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი ათი წელი. ჯერ იყო და 1974 წლის 11 იანვარს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ხაზგასმულია რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების საკითხები. ტურისტული ბაზების მშენებლობისათვის გამოიყო 36,4 მილიონი მანეთი. შემდგომში საქართველოს მშრომელების ტურიზმის ფართო გამოყენებას ურჩევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დადგენილება და 1977 წელს ჩატარებული რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საკითხებს მიეძღვნა. მშრომელთა აქტიური დასვენების ამოცანები ფართოდ აისახა ჩვენი ეპოქის დიად დოკუმენტში— სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში; 1981 წლის იანვარში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ“.

სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან მოვისმინეთ: „საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ ჩვენი კურორტები და ტურიზმი, ისინი „გონივრულად, ჩვენი სასურსათო და შრომითი რესურსების შესაბამისად უნდა განვავითაროთ“; სკკპ XXVI ყრილობამ კი დაადგინა — „ყოველნაირად განვავითაროთ და სრულვყოთ მშრომელთა დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზაცია“.

სულ ახლახანს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება.

ამაზე წუხდნენ ჩვენი წინაპრებიც

რევოლუციამდელი ქართული პრესის მასალების შესწავლისას სიხარულს ვერ ვფარავდი იმის გამო, რომ თურმე ჩვენს მამინდელ მოღვაწეებს უკვე დამუშავებული ჰქონდათ ტურიზმის ყველა თეორიული მხარე, მაგრამ გული უსიამოდ შემეკუმშა, როცა იმავე მასალებიდან ამოვიკითხე ქართველი კაცის კრიტიკა ტურიზმის უგულებელყოფის გამო.

დიდი მამულიშვილი ს. მესხი 1875 წლის „დროებაში“ (№ 73) ვრცლად აღწერს ქვეითი ტურიზმით გატაცებას უცხოეთში, და სინანულით შენიშნავს: „ჩემს დღეში არ გამიგონია, რომ ქართველს ამისთანა საქმე ჩაედინოს“.

35 წლის შემდეგ ჟურნალ „განათლების“ ავტორი ი. ვართაგავა იზიარებდა ს. მესხის გულისწუხილს და შენიშნავდა: „ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია შეგნებული აქვთ მოწინავე ერებს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად, პატარა ფუთა აკიდებული, ჯოხით ხელში დაიარებიან ქვეითად თავიანთ ქვეყანაში, ათვალიერებენ ყველაფერს, რაც ყურადღების ღირსია, აკვირდებიან ხალხის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულე-

(დასასრული მე-2 გვ.).

გვიხმობს მშობლიური მთა - ბარი

დასასრული

ბას და სხვა. ჩვენ კი? თითოეული ჩვენგანი იმ სოფლის, იმ ქალაქის ცხოვრებასაც ვერ ვიცნობთ კარგად, სადაც დავბადებულვართ და გავზრდილვართ, თითქოს ჩვენი ღირსების დამამცირებელ და უსარგებლო საქმედ მიგვაჩნია მდაბიო ხალხში ცხოვრება, მისი ჭირ-ვარამის გაგება, იმის მოთხოვნილების შეტყობა, რაც ს. მესხმა ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ თქვა, თითქმის უცვლელად შეიძლება გამეორდეს დღეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მესხისათვის ვიღაცა უცხოელს უამბნია ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, ბუნებაზე, ადგილების მდებარეობაზე და მას შერცხვა, რომ ვიღაცა უცხო კაცმა უფრო კარგად იცოდა მისი სამშობლოს ვითარება, — ჩვენ კი ეს სირცხვილიც დავკარგეთ". განა ზუსტად იგივე არ აწუხებდა ქართველ მწერალს ს. მგალობლიშვილს? ისიც წერდა: „ჩვენგან გაუცნობელნი არიან ეს ამოდენი შესანიშნავი ადგილები; გადამთიელები მოდიან პირდაპირ ჩვენი ბუნების გასაცნობად და, ვინც ვერ მოდის, ნატრობენ ნახვას. ჩვენ კი ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერეს, ჩვენს სიმდიდრეს გულგრილად ვუცქერით და ვერც კი ვიცნობთ ჩვენს მშობელს" („დროება", 1875, № 133). თუ ამ სიტყვების დაწერის თარიღს არ გავიხსენებთ, მკითხველი იფიქრებს, ავტორები დღევანდელობაზე წერენო.

გიყვარდეს თავი შენი!

რა არის ტურიზმი?!

გათვითცნობიერებული მკითხველი ამგვარ კითხვას გულუბრყვილობად არ ჩამითვლის. მან კარგად იცის, რომ ქვეითი ტურიზმი მასობრივად უგულებელყოფილია. რა არის ამის მიზეზი, ტურიზმის ცუდი აგიტაცია-პროპაგანდა, დროის უქონლობა თუ სხვა რამ? ერთი რამ ცხადია, ტურიზმი ადამიანს აძლევს გონებრივი და ფიზიკური განვითარების, თვალსაწიერის გაფართოების, აქტიური დასვენების საშუალებას.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად ტურისტული ლაშქრობა ჩავატარეთ.

ეს იყო ოცდაათამდე ახალგაზრდის მიერ ნაყოფიერად გატარებული კიდევ ერთი დღე. რა მიიღეს მათ ამ ერთი დღის განმავლობაში? გაიკაჟეს სხეული, გაეცნენ ჩვენი წარსულის რამდენიმე ღირსშესანიშნავ ძეგლს, ჩვენი ეპოქის ახალმშენებლობებს, გაიჩინეს ახალი მეგობრები და მხიარულნი, სასიამოვნოდ დაღლილნი დაბრუნდნენ ოჯახებში, რათა მეორე დღეს ახალი ენერგიით შესდგომოდნენ საქმეს.

ახლა კი თავად განსაჯონ კვირა დღეებში სახლში ჯდომის მოყვარულებმა — რას კარგავენ ისინი ტურიზმთან მწყრალად ყოფნით.

რას აკეთებს სკოლა, დაწესებულება, ოჯახი?!

ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ სკოლა უნდა იქცეს მოსწავლეთა შორის ტურისტული მოძრაობის მთავარ ცენტრად. და ეს სერიოზული მისია პედაგოგებმა უნდა იკისრონ, სწორედ მათ უნდა შექმნან სკოლაში ტურიზმისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ატმოსფერო. მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? 25 წელია კვირაობით თბილისის შემოგარენის ტურისტულ მარშრუტებზე დავდივარ და ჯერ არ შემხვედრია დედაქალაქის ქართული სკოლების მოსწავლეთა ორგანიზებული ტურისტული ჯგუფი. არა და, როგორ სწყურიათ ჩვენს ბავშვებს ასეთი სასარგებლო ღონისძიებები!

გასული წლის აპრილში ჟურნალმა „მართვემ" გადაწყვიტა თბილისის რომელიმე სკოლის მოსწავლეებისთვის ჩაეტარებინა გასვლითი გაკვეთილები ბუნების წიაღში. მივმართეთ რამდენიმე სკოლას და... უარი მივიღეთ — ჩვენი ბავშვები მიჩვეულები არ არიან ტყეღრეში სიარულსო. ბოლოს სიამოვნებით დაგვთანხმდა 77-ე სკოლის დირექცია. თუ რა შედეგი გამოიღო ამ ღონისძიებამ, ამაზე „მართვეს" რედაქციაში მოსული მოსწავლეთა წერილები ღაღადებენ. გონებაში ჩამრჩა ერთი გოგონას წერილი: „თბილისში დავიბადე და გავიზარდე, უკვე მეშვიდე კლასში ვარ და ჯერ არ მენახა ნამდვილი წყარო, მისი დაბადება. ბოტანიკური ბაღი და ნარიყალას ციხე მხოლოდ შორიდან მენახა. ამ ერთმა ლაშქრობამ ბევრი რამ მასწავლა, ხოლო, როცა ქართულის მასწავლებელმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ მის უბრალო საფლავთან გაგვიმართა საუბარი, ცრემლი ვერ შევიკავე. მე ყველა მოსწავლეს ვუსურვებ ამგვარ ცრემლებს!"

რაღას აკეთებენ ჩვენი წარმოება-დაწესებულებები? სამწუხაროდ, ჩვენი მუშათა კლასის ცხოვრებაში ტურიზმმა ფაქტიურად ვერ მონახა თავისი კუთვნილი ადგილი. მშრომელთა მასობრივი, ორგანიზებული გასვლა ფეხით ქალაქგარეთ, ხალისიანი თამაშებითა და დასვენებით რატომღაც აღარ წარმოადგენს დაწესებულებათა ხელმძღვანელების საზრუნავს. მახსოვს ამ ათიოდე წლის წინათ სიამოვნებით ვუყურე ერთ ტელეგადაცემას, რომელიც ასახავდა თბილისის დიდი ფაბრიკის მუშების მასობრივ დასვენებას ლისის ტბის მიდამოებში. მას შემდეგ მსგავსი ტელეგადაცემა აღარ მინახავს. ტელევიზიის მუშაკები გვერდს როდი უვლიან ასეთ რეპორტაჟს, საქმე ისაა, რომ ასეთი სასარგებლო ღონისძიებები აღარ ეწყობა და ტელევიზიის მუშაკებსაც არაფერი აქვთ ფირზე აღსაბეჭდი. უფრო სწორად, მათ საფელეტონო მასალა ეძლევათ, ვინაიდან ტურისტული ლაშქრობები, ახლა, როგორც წესი, ღვინის უზომო სმით მთავრდება. ვფიქრობ, ჩვენი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები ახლა მაინც გაუწევენ ანგარიშს ახალი ხუთწლედის დირექტივებს და მშრომელთა კეთილგონიერი დასვენების პრობლემასაც ისეთივე გულისყურით მოეკიდებიან, როგორც საწარმოო გეგმების შესრულებას.

დიდად სამწუხაროა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა ჩვენს ოჯახებში არსებითად არავითარი ანგარიში არ ეწევა ტურიზმს, როგორც ოჯახის წევრთა ჯანმრთელობისა და დასვენების საუკეთესო წყაროს. ბევრჯერ წარვმდგარვარ მშობელთა აუდიტორიის წინაშე როგორც ლექტორი, ბევრჯერ მისაუბრია ტურიზმზე, და როდესაც კვირადღის ლაშქრობებზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, მსმენელთ სკეპტიკური ღიმილი გადაურბენდათ ხოლმე სახეზე — დალოცვილო, კვირა დღეს ოჯახში იმდენი საქმეა, სასეირნოდ ვიღას სცალიაო, — ვკითხულობდი მათ სახეებზე. ასეთი მიზეზებით თავის გამართლების მოყვარულებს უნდა გავახსენოთ ბრძნული ფორმულა: „მუშაობა, რომელსაც გართობაც არ ახლავს, დამღუპველია!" ეს სიტყვები კ. მარქსს ეკუთვნის.

სადა ხარ, ძია ვასო?

იგი 60 წელს გადაცილებული იყო, როდესაც ფიზკულტურის ინსტიტუტში მოვიდა და მორიდებით მითხრა: გავიგე, კეთილი საქმე დაგიწყიათ, ყოველ კვირა დღეს გაგყავთ ახალგაზრდები ქალაქგარეთ; თქვენ ჯერ გამოუცდელები ხართ, გთავაზობთ ჩემს გამოცდილებასო. ეს ჭარმაგი კაცი, საქართველოში სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი ვასილ ვერულაშვილი ყოველ კვირას ჩვენთან იყო, ძმობით ახალ ბილიკზე გვატარა, შეგვასწავლა ბევრი რამ, შემდეგ, როცა „გზაზე დაგვაყენა", თბილისის ოფიცერთა სახლის ტურისტებს ემსახურა აგრეთვე უსასყიდლოდ. და ასე, ღრმა მოხუცებულობამდე არ აკლებდა დახმარებას თბილისელ ტურისტებს. ახლა ძია ვასო ფეხის ტკივილის გამო ტურისტულ ბილიკებს ჩამოშორდა, მაგრამ ტელეფონის საშუალებით ხშირად გვარიგებს ხოლმე მამაშვილურად.

ო, როგორ გვჭირდება ძია ვასოსთანა ენთუზიასტები, საქართველოს ბუნებაზე, ხალხზე, ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები; მათი გამოცდილება ბევრს შესძენდა ტურიზმის მოყვარულ ახალგაზრდებს.

მარტო ოფიციალური ორგანოები ამ საქმეს ვერ უშველიან, თუ სპორტის ვეტერანებმა, საზოგადოებრიობამაც არ იაქტიურა. ჩვენი საზოგადოებრივი აქტივი კი ამ ბოლო დროს რომ ძალზე ინერტიული გახდა, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა წლეულს მარტში თბილისის ტურისტული კლუბის გაფართოებულ პლენუმს დავესწარი. მეტად აქტუალური საკითხი მოისმინეს. მას წინ უსწრებდა წინამოსამზადებელი სამუშაო. კლუბის ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე — გადამდგარი პოლკოვნიკი პ. კუპატაძე) ყველაფერი გააკეთა პლენუმის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, მაგრამ ეს დიდი ღონისძიება კინაღამ ჩაიშალა — პლენუმის წევრები არ მოვიდნენ. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ, როცა განმეორებით აამოქმედეს ტელეფონები, შესაძლებელი გახდა პლენუმის გახსნა.

დასასრულს, მინდა ვ. ი. ლენინის სიტყვები გავიხსენო: „გამიგონეთ, თქვენი მუშაობა უფრო პროდუქტიული იქნება, თუ ერთიორი საათით გასეირნებთ ტყეში, ვიდრე იჯდეთ დახუთულ ოთახში, უმოწყალოდ იზელდეთ შუბლს და ექაჩებოდეთ პაპიროსს პაპიროსზე". ოქროს სიტყვებია! გიყვარდეს თავი შენიო, — ასე იკითხება მისი ქვეტექსტი. ჰოდა, მივყვეთ ამ ცნებას, არაფერს წავაგებთ, მოგებით კი მოვიგებთ ყველაზე ძვირფას განძს ამ ქვეყანაზე — ჯანმრთელობას!

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი.

რაიკომის ბიურომ იმსჯელა

პარტიის წულუკიძის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი „რაიონში ფეხბურთის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ბიუროზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ეთმობა რაიონში ფეხბურთის განვითარებას, წულუკიძის „იმერეთი" მთლიანად ადგილობრივი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. გუნდი შევსებას იღებს ბავშვთა და მოზარდთა რაიონული სპორტული სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელთაგან.

რეგულარულად იმართება სარაიონო პირველობები საშუალო და რვაწლიან სკოლებს შორის, მოსწავლეთა ნაკრები გუნდი მონაწილეობს რესპუბლიკურ პირველობაზე.

ფეხბურთის განვითარების საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის, № 8 და №9 პროფტექნიკური სასწავლებლების დირექციები, სოფ. მათხოჯისა და წითელვარსკვლავის კოლმეურნეობების გამგეობები და ფიზკულტურული კოლექტივები.

ამასთან ერთად, ბიუროზე აღინიშნა, რომ ფეხბურთის განვითარების საერთო დონე რაიონში ჯერ კიდევ არ შეესაბამება სადღეისოდ გაზრდილ მოთხოვნებს. სერიოზული ნაკლოვანებები შეიმჩნევა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში, იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ სოფლად. მოუწყობელია მარტივი ტიპის მინდვრები. სოფ. გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, წულუკიძის კოლმეურნეობაში, მოუვლელია ქუტირის საბჭოთა მეურნეობის, სოფლების — გოჩა-ჯიხაიშის, კუხისა და დიდალაურის კოლმეურნეობათა სპორტული ბაზები.

კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს ქალაქის ცენტრალური სტადიონი, ტრიბუნებზე გამოსაცვლელია მერხები, მოუწყობელია გასახდელები, საშხაპე, მსაჯთა ოთახი.

სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლასთან ჩამოყალიბებულია ფეხბურთელთა მოსამზადებელი 3 ჯგუფი, მაგრამ რაიონის სოფლებში ასეთი ჯგუფები არ არსებობს. მუშაობას ხელს უშლის ისიც, რომ საკმარისი არაა ინვენტარი და სხვ.

ეს ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ მიმართავენ ქმედით ღონისძიებებს სპორტის ამ პოპულარული სახეობის განვითარებისთვის.

რაიონში ფეხბურთის შემდგომი განვითარების მიზნით რაიკომის ბიურომ დაავალა პირველად პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას და სასოფლო საბჭოს აღმასკომებს იზრუნონ ფეხბურთის შემდგომი მასობრივი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, იზრუნონ არსებული ფეხბურთის ბაზების განმტკიცებისა და ახალი სათამაშო მინდვრების მოწყობისთვის.

რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება რაიონის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის ერთი თვის ვადაში დამთავრებისა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების შესახებ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის, № 8 და №9 პროფტექნიკური სასწავლებლების დირექციებს რჩევა მიეცათ ჩამოაყალიბონ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჯგუფები.

გ. გეგუჩაძე.

კარგი თაოსნობა

დაისტამბა ლელობურთის თამაშის წესები



„კოლმეურნედან" სულ ახლახან მივიღეთ ფრიად სასიამოვნო საჩუქარი, ნამდვილი საჩუქარი, მათთვის, ვისაც უყვარს ქართული სპორტი და ხარობს მისი წარმატებებით, ზრუნავს მისი მიღწევებისთვის.

საქართველოს ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს სასიკეთო ინიციატივა გამოუჩენია და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მეშვეობით დაუბეჭდია ეროვნული თამაშის — ლელობურთის წესები.

ჩვენ გვახსოვს ძველი ასეთი გამოცემა — უნიათო, თითქმის კუსტარული წესით გამოშვებული, ეს ახალი წიგნი კი სასიამოვნო სანახავია, მშვენიერი ყდა აქვს (მხატვარი მ. კუხაშვილი), თვით წესები დამტკიცებულია საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ.

წესები შეუდგენიათ ჯ. ვამაკიძეს და გ. ხოშტარიას; წიგნს აქვს მცირე შესავალი, შემდეგ მოდის წესების პარაგრაფები (თამაშის შესახებ, მინდვრის ზომები, მოთამაშეთა უფლება-მოვალეობანი, თამაში ბურთით, ბურთისთვის ბრძოლა, ბურთის შეკვრა, საჯარიმო ტყორცნები, ლელოს გატანა, თამაშის შედეგი, მსაჯთა უფლება-მოვალეობანი და ა. შ.), ამას გარდა, აღწერილია შეჯიბრების ჩატარების სისტემა, ფორმულები გუნდების სხვადასხვა რაოდენობით, საგანაცხადო ფორმები, ლელობურთის სპორტული კლასიფიკაცია, მითითებულია შესაბამისი ლიტერატურა.

ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია — 10 კაპიკი (წიგნი 70-გვერდიანია), მაგრამ გვაფიქრებს მხოლოდ ტირაჟი: 2.000 ცალი ცოტაა.

ერთი სიტყვით, „კოლმეურნემ" კეთილი საქმე გააკეთა. მაგრამ რა ვუყოთ სხვა სახეობებს? ქართულ ენაზე ხომ თითქმის არა გვაქვს ახალი წესები არც ერთ სახეობაში. რატომ არ მიჰბაძავენ სხვა სპორტსაზოგადოებები „კოლმეურნეს" კარგ მაგალითს?

რ. აბაშელი.

მსოფლიო ჩემპიონატი

გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ევროპის ჯგუფებში.

IV ჯგუფი

ლიუცერნი. შვეიცარიის ნაკრებმა აქ მიიღო უნგრეთის ფეხბურთელები და ფრედ დაამთავრა მატჩი — 2:2 (1:1). შვეიცარიელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ქ. სულსერმა, ხოლო უნგრელთა მხრივ — ლ. ბალინტმა და შ. მიულერმა (პენალტი).

სატურნირო ცხრილი ამ ჯგუფში გამოიყურება ასე:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ინგლისი	3	2	0	1	7—3	4
რუმინეთი	2	1	1	0	3—2	3
ნორვეგია	3	1	1	1	3—6	3
უნგრეთი	1	0	1	0	2—2	1
შვეიცარია	3	0	1	2	4—6	1

VI ჯგუფი

გლაზგო. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე გლაზგოში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ისრაელის ნაკრები (პირველი ტაიმი 2:0).

შოტლანდია	5	3	2	0	6—2	8
პორტუგალია	3	2	1	0	4—0	5
რჱ. ირლანდია	4	1	2	1	4—2	4
ისრაელი	6	0	3	3	2—8	3
შვეცია	4	0	2	2	1—5	2

✦

ნორჩ დინამოელთა წარმატება

გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ზონალური გათამაშება, სადაც მონაწილეობენ უმაღლესი და პირველი ლიგების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლათა გუნდები.

VII ზონაში გამოდიოდნენ: თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ბაქოს „ნეფთჩი" და ერევნის „არარატი". თბილისის ნორჩმა დინამოელებმა (მწვრთნელები ბ. სიჭინავა, ს. აპრესიანი). წარმატებით ჩაატარეს პირველი 4 კალენდარული მატჩი, მოუგეს ქუთაისის ტორპედოელებს — 2:0 და 1:0, ბაქოს „ნეფთჩის" — 2:0, 2:0 და მიუხედავად ერევნის „არარატთან" დარჩენილი 2 თამაშისა, ამ გუნდთან ერთად გაინაღდეს საკავშირო ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება. ნახევარფინალები 3 ზონად გაიმართება 19-29 ივნისს.

ი. გოგორაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების გამგე.

✦

2 : 0

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო კიროვაბადის „პროგრესი".

თამაში მოიგეს თბილისელებმა — 2:0.

◆

დაწვრილებით „დინამოს" მეტოქეზე

ბერლინის ჟურნალმა „დი ნოიე ფუსბალვოხემ" გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერესი ფეხბურთელების „რანგლისტი" (ძალთა შედარებითი ნუსხა). ამ სიაში, ცხადია, იენის „კარლ ცაისის" მოთამაშეთა გვარებიც გვხვდება.

გდრ-ის №1 მეკარედ ახლა, სრულიად სამართლიანად, „კარლ ცაისის" მოთამაშე გრაპენტინი ითვლება. იგი თავისებური „ბედის" ფეხბურთელი გახლავთ. ორიოდე წლის წინ მას, ნაკრების სათადარიგო მეკარეს, ცოტა თამაში უწევდა, მიაჩნდათ, რომ გრაპენტინზე გაცილებით უკეთ ახალგაზრდა კროი (ახლა მას „რანგლისტში" მეორე ადგილი უკავია) თამაშობდა. გრაპენტინის კარიერა, თითქოს საცაა უნდა დამთავრებულიყო (იგი 1943 წლის 3 სექტემბერსაა დაბადებული), მაგრამ კროი მოულოდნელად სერიოზულად დაშავდა და მის გამოჯანმრთელებას წელიწადზე მეტი მოუნდა. გრაპენტინი კვლავ ჩადგა ნაკრების კარში, თანაც, როგორ — მოკლე ხანში ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის რეპუტაცია მოიპოვა. როდესაც კროი გამოჯანმრთელდა, დაბრუნდა ნაკრებში, მაგრამ როგორც უკვე გრაპენტინის დუბლიორი. შარშან ყველა უმნიშვნელოვანეს მატჩში გრაპენტინი თამაშობდა, კროის კი — შედარებით მეორეხარისხოვან შეხვედრებში ანდობდნენ კარს. ახლა კროის 93 მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში და იმედოვნებს „ასიანთა კლუბში" შესვლას, გრაპენტინისთვის კი 2 მაისის მატჩი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში პოლონელებთან ხოჟუვში მხოლოდ მეოცე იქნება ალბათ. მიმომხილველთა აზრით, გრაპენტინი ახლა პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობს. „რომასა" და „ვალენსიასთან" მატჩების შემდეგ იგი აქეს იტალიელმა და ესპანელმა ექსპერტებმა, თვით გერმანელი მიმომხილველები კი წერდნენ, რომ პირველ რიგში გრაპენტინის დამსახურებაა „კარლ ცაისის" გასვლა ნახევარფინალში. ნიუპორტში „კარლ ცაისს" 6 ძირითადი მოთამაშე აკლდა და გრაპენტინს რომ სასწაულები არ მოეხდინა, უელსელები, (მათ დიდი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ) შემდეგ წრეში გავიდოდნენ. ინგლისის ტელევიზიის კომენტატორმა პირდაპირ თქვა, რომ მეკარის ასეთი თამაში მას წლების განმავლობაში არ უნახავს.

მარჯვენა მცველთა შორის ჟურნალმა მეხუთე ადგილი მიაკუთვნა შილინგს, მარცხენა მცველთა შორის მეორე ადგილი — კურბიუვაიტს. თუ შილინგი „კარლ ცაისისთვის" რიგითი ფეხბურთელია, კურბიუვაიტზე უდავოდ ღირს ყურადღების შეჩერება. იგი 30 წლისაა. ნაკრების მწვრთნელი გ. ბუშნერი შარშან მას მაინცდამაინც არ „წყალობდა", ნაკრების 6 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ გამოიყვანა მინდორზე, თანაც მეორე ტაიმში შეცვალა. წლეულს მდგომარეობა შეიცვალა. აქ, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ გამოცდილი მცველის (იგი ზოგჯერ შუა ხაზზეც გამოდის) ჩინებულმა გამოსვლებმა „კარლ ცაისის" შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასზე („ოქროს გოლი" ნიუ-პორტში!). ამასწინანდელი მატჩი უდინეში იტალიელებთან კურბიუვაიტისთვის, რომელიც ფიზიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული, 63-ე იყო გდრ-ის ნაკრებში.

დაცვის ცენტრალურ წყვილს ჟურნალი მაღალ შეფასებას აძლევს. გუნდის კაპიტანი ვაიზე დასახელებულია პირველ ნომრად, შნუპჰაზე —მესამედ. ვაიზე წლების განმავლობაში ნაკრების ბურჯია (85 მატჩი), მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო წრის დასაწყისშივე დაშავდა. მას არც „ნიუპორტ ქაუნთისთან" უთამაშია და არც „ბენფიკასთან". მართალია, გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს" კორესპონდენტს ინტერვიუში კაპიტანმა განუცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებდა უელსელებთან საპასუხო მატჩში, მაგრამ მისი გამოჯანმრთელება ვერ მოხერხდა. „კარლ ცაისის" მწვრთნელს მაიერს იმედი ჰქონდა, რომ მრავალნაცადი ვაიზე ლისაბონში მაინც ითამაშებდა. ესეც არ მოხერხდა. არც ახლაა გარკვეული გამოვა თუ არა ვაიზე თბილისელთა წინააღმდეგ.

შნუპჰაზეს სხვადასხვა ადგილზე შეუძლია გამოსვლა. „კარლ ცაისში" იგი ლიბეროდ თამაშობს, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის გუნდის ყველაზე უფრო შედეგიანი ფეხბურთელი იყოს. ეროვნულ ჩემპიონატში შნუპჰაზეს უკვე 12 ბურთი აქვს გატანილი, ამ გუნდის თავდამსხმელთაგან ყველაზე უფრო შედეგიან ფოგელს კი მხოლოდ 8. ნაკრებში შნუპჰაზემ (იგი 27 წლისაა) 23-ჯერ ითამაშა.

„კარლ ცაისის" ნახევარმცველებს შორის „რანგლისტში" შევიდა მხოლოდ ლინდემანი (მეორე ნომრად, შტაინბახის შემდეგ), რომელიც ეროვნულ ნაკრებშიც გამოდის. ჟურნალი აღნიშნავს ჰოპესა და კრაუზეს კარგ თამაშსაც, ისინი წლეულს ყურადღებას იქცევენ.

ახლა ზოგი რამ „კარლ ცაისის" თავდამსხმელებზე. მათგან ჟურნალი გამოჰყოფს 38 წლის ფოგელს (მეორე ნომრად, ჰოფმანის შემდეგ), რომელსაც გდრ-ის ჩემპიონატებში 186 ბურთი აქვს გატანილი, თუმცა, „რანგლისტის" ამ შეფასებას ზოგიერთი განმარტება ესაჭიროება. საქმე ის არის, რომ თუ „რანგლისტი" ძირითადად ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ითვალისწინებს, ნაკრების მწვრთნელს ბუშნერს სხვა კრიტერიუმებიც აქვს. ასე, მაგალითად, ახალგაზრდა მარჯვენა გარემარბმა ტროხამ მისი ყურადღება სწორედ თასების მფლობელთა თასის მატჩებით მიიქცია. ტროხა პირდაპირ ნაკრებში მიიწვიეს, სადაც ჩინებულად ითამაშა სამხრეთამერიკულ ტურნეში. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ტროხასთვის აუცილებელი იყო მუხლისთავის ოპერაცია. ამ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ, ცხადია, თბილისელებთან იგი ვერ ითამაშებს.

გ. თორელი.



თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში თბილისელებს თავიდანვე დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და მრავალჯერ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეორე ტაიმში. აი, ეს მომენტიც: თ. სულაქველიძემ მიიღო დ. ყიფიანის ზუსტი გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი მეკარე ა. იანოვსკის კარში — 1:0. შემდგომში „ფახთაქორის" კარი თბილისელებმა კიდევ ორჯერ აიღეს.

კ. შანიძისა და ა. კოტორაშვილის ფოტო.

* * *

ექვსნი „კარლ ცაისიდან"

როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადნ-ის სააგენტო იუწყება, ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა გამოაცხადეს გუნდის შემადგენლობა, რომელმაც 2 მაისს ქ. ხოჟუვში უნდა ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პოლონეთის ნაკრებთან.

გდრ-ის ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები: გრაპენტინი (იენის „კარლ ცაისი"), კროი, რუდვალაიტი; დაცვა — ბრაუერი, კურბიუვაიტი (ორივე—„კარლ ცაისი"), შტროზნიაკი, დიორნერი, შმუკი, ტილოფი, ბაუმი, ულრიხი; შუა ხაზი — შნუპჰაზე, ლინდემანი (ორივე—„კარლ ცაისი"), შტაინბახი, ჰეფნერი, ლიბერსი; თავდასხმა — რიდიგერი, ბილაუ („კარლ ცაისი"), შტრაიხი, ჰოინი, ჰოფმანი, ნეცი.

ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ „კარლ ცაისის" კაპიტანი ვაიზე ნაკრებში მიწვეული არაა ტრავმის გამო.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

პირველი ჯგუფი

I ქვეჯგუფი

„ივერია" (ხაშური) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა ოსაძემ.

„ქართლი" (გორის რაიონი) — „თორი" (ბორჯომი) 4:1. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს კარელიძემ, ნონიკაშვილმა, ნოზაძემ და რაზმაძემ, ხოლო სტუმართაგან — ჯუგუბერიძემ.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

სპარტაკელი ხუგაევის მიერ გატანილი ბურთი შესვენების შემდეგ გააქვითა ჯანდავაძემ.

„დურუჯი" (ყვარელი) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

გაფრთხილებულია თელაველი გ. ზარიძე.

„მადნეული" (ბოლნისი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ჭეიშვილისა და ტყავაძის 2 გოლს არმიელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ლატარია).

გაფრთხილებულია ბოლნისელი ა. ფოფხაძე.

„ვარძია" (ასპინძა) „ავიატორი" (თბილისი) 0:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

მასპინძელთა კარში ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა ლომბაშიძემ.

„მეშახტე" (ტყიბული)— ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).

2 ბურთი გაიტანა ხუცურაულმა, თითო — ქარქაშაძემ და ბაბუხადიამ. თბილისელმა ჩიქობავამ ვერ გამოიყენა პენალტი.

„სპარტაკი" (თბილისი) —„არმაზი" (მცხეთა) 0:0. მსაჯი რ. ძოძუაშვილი (თბილისი).

„ავტომობილისტი" (თბილისი) — „ალგეთი" (მარნეული) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ." თბ.	7	5	2	0	9—1	12
„მაღაროელი"	7	4	3	0	15—5	11
„ქართლი"	7	5	1	1	12—6	11
„მეშახტე"	7	4	2	1	13—5	10
„ალაზანი"	7	4	1	2	11—9	9
„ივერია"	7	4	0	3	12—10	8
„სპარტ." ცხ.	7	3	2	2	5—5	8
„დურუჯი"	7	4	0	3	8—10	8
„ავტომობ."	7	2	3	2	6—6	7
„ალგეთი"	7	2	2	3	10—9	6
„კახეთი"	7	3	0	4	9—9	6
„მადნეული"	7	4	0	3	8—10	6
„ავიატორი"	7	2	1	4	9—11	5
„არმაზი"	7	1	3	3	4—6	5
„ვარძია"	7	2	0	5	6—10	4
ასკ თბ.	7	1	1	5	8—14	3
ფიზ.ინსტ.	7	1	1	5	4—12	3
„თორი"	7	1	0	6	3—14	2

II ქვეჯგუფი

„მზიური" (გალი) — „დინამო" (ქუთაისი) 4:0. მსაჯი ნ. მუხაშავრია (ბათუმი).

„მერცხალი" (მახარაძე) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მასპინძელთა გოლი ეკუთვნის ტყებუჩავას, სტუმრებისა — ანტონიევს.

გაფრთხილებულია ცხაკაიელი გ. კუპრავა.

„ჩიხურა" (საჩხერე) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი ვ. შინოიანი (მახარაძე).

2 ბურთი გაიტანა გოგოლაძემ, 1 — ივანოვმა, საპასუხო — ჭითანავამ.

„სქური" (წალენჯიხა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ვ. ბოჭორიშვილი (ტყიბული).

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „გიგანტი" (ლაითური) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

ანგარიში გახსნა თერჯოლელმა დალალიშვილმა, რომელიც მატჩის ბოლო წუთზე გააქვითა თოფურიძემ.

გაფრთხილებულია ლაითურელი ლ. ბაქანიძე.

„კოლხეთი" (ხობი) — „შუქურა" (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

ხობელთაგან ბურთები გაიტანეს კაჰარავამ, პლასკონიმ და ქომეთიანმა, ხოლო „შუქურას" მხრივ —უსტიანმა.

„იმერეთი" (წულუკიძე) — „ხალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ნაკადული" (ჩხოროწყუ) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ზესტაფონელთაგან 2 ბურთი გაიტანა გუმბერიძემ, 1—გაჩეჩილაძემ, სტუმართა მხრივ — ახალაიამ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი"	7	4	3	0	8—1	11
„დინამო" ზ.	7	4	3	0	9—3	11
„მეტალურგი"	7	4	2	1	12—4	10
„შუქურა"	7	4	1	2	10—5	9
„ნაკადული"	7	3	3	1	9—7	9
„სალხინო"	7	3	2	2	11—8	8
„კოლხეთი"	7	3	2	2	10—8	8
„გიგანტი"	7	2	4	1	8—6	8
„ბახმარო"	7	3	1	3	9—7	7
„ჩიხურა"	7	3	1	3	8—9	7
„სქური"	7	2	3	2	4—5	7
„მერცხალი"	7	2	2	3	5—5	6
„იმერეთი"	7	1	4	2	5—5	6
„ენერგეტ."	7	2	2	3	8—11	6
„მზიური"	7	1	3	3	6—7	5
„ეგრისი"	7	0	3	4	5—13	3
„დინამო" ქ.	7	1	1	5	3—15	3
„ამირანი"	7	1	0	6	8—19	2

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.





საერთაშორისო ფოტოკონკურსის დასრულება

ორ წელიწადში ერთხელ იწყობა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ტრადიციული საერთაშორისო ფოტო-კინო კონკურსი — „მთები და ადამიანები". ამ კონკურსს საკმაოდ დიდი მოწონება აქვს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მთამსვლელთა და ფოტოსა და კინოს მოყვარულთა შორის. საკონკურსო მასალას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქიდან აგზავნიან. კონკურსში ხშირად მონაწილეობენ იტალიის, კანადის, საფრანგეთის, გდრ-ს, ბულგარეთის, პოლონეთის მთამსვლელები, ფოტომოყვარულები, პროფესიონალები.

ამჟამად კონკურსში ოდესის, ტაშკენტის, დნეპროპეტროვსკის, ფრუნზეს, ძერჟინსკის, სოხუმის, თბილისის, ვარშავისა და დრეზდენის 23 წარმომადგენლის ნამუშევარი იყო. ფოტონამუშევრებში I პრემია მიენიჭა თბილისელ დ. ბაქანიძეს (ფერადი სურათების სერიისათვის „ზუგვანდის სარკე"), დრეზდენელ (გდრ) ი. შონერს (ფერადი ფოტოების სერიისათვის „სვანეთი" და შავთეთრი ფოტოსთვის „მყინვარწვერი"), თბილისელ თ. გრიგალაშვილს (ფერადი ფოტოების სერიისათვის „მთამსვლელები", „სვანეთი", „ჩვენი მეგობრები").

II პრემია მიენიჭა ი. კიტელგს (დნეპროპეტროვსკი), ე. აბგაროვიჩს (პოლონეთი), ე. შულგას (ოდესა), დ. თარხნიშვილს, ზ. ურუშაძეს (ორივე — თბილისი).

III პრემია დაიმსახურეს ვ. კორჟავინმა (სოხუმი), გ. როსტომაშვილმა, ა. ჩხიკვაძემ (ორივე — თბილისი), ს. კოვალევსკიმ (ვარშავა).

IV პრემიით აღინიშნა ვ. რაცეკის (ტაშკენტი, სიკვდილის შემდეგ), ა. კულაკოვის (ფრუნზე), ს. კიზიუტკინის (ძერჟინსკი) ნამუშევრები.

ფერად სლაიდებში პრემია არავის არ მიეკუთვნა.

კონკურსში სპეციალური პრიზი დაიმსახურა თბილისელმა რ. გიუტაშვილმა.

კონკურსის ლაურეატებს ვულოცავთ ამ წარმატებებს და ვუსურვებთ შემდგომ გამარჯვებებს. აქვე ვაცხადებთ ახალ კონკურსს, რომელზედაც მიიღება როგორც შავთეთრი, ისე ფერადი ფოტოები (30X40). მიიღება აგრეთვე სლაიდები და კინოფირები. ნამუშევრებში ასახული უნდა იყოს მთის ყოფაცხოვრება, ხუროთმოძღვრება, პეიზაჟები, მთამსვლელთა ლაშქრობები...

ნამუშევრები გამოგზავნეთ მისამართით: 380009 თბილისი, ლენინის 37, საქართველოს ალპური კლუბი.

დ. გოზალიშვილი,
საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგე.

* * *

სურათზე: ხ. კიზიუტკინის ნამუშევარი „მწვერვალისაკენ".

● წყალში ხტომა

მაღალი შედეგებით

სსრ კავშირის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელები დიდ იმედებს ამყარებენ სოხუმელ გ. შავდიაზე და თბილისელ ე. ბილიოვაზე. ამიტომ მოსწავლე სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმის წინ მათი ყოველი გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს.

ახლახან თბილისში საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში რესპუბლიკის წყალში მხტომელთა პირველობა ჩატარდა და ორივე სპორტსმენმა გამოიჩინა თავი. განთიადელმა გ. შავდიამ სპორტის ოსტატის შედეგით (495,10 ქ.) ყველას აჯობა ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში, მისმა თანაკლუბელმა ე. ბილიოვამ იმარჯვა როგორც კოშკიდან, ისე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში. კოშკიდან ხტომაში მას ქულის რაღაც მეასედები დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი რომ შეესრულებინა.

საერთოდ, ეს ასპარეზობა მაღალი შედეგებით აღინიშნა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელმა ქალებმა და კოშკიდან მოასპარეზე ვაჟებმა. ამ სახეობაში ყველა პრიზიორმა სპორტის ოსტატის შედეგებით დაიკავა საპატიო კვარცხლბეკის სხვადასხვა საფეხური. კოშკიდან ხტომაში I-II ადგილებზე გასულმა ვაჟებმაც ასეთივე შედეგები აჩვენეს.

საქართველოში, თბილისის გარდა, წყალში ხტომის განვითარება სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის არათბილისელი ერთადერთი სპორტსმენი — გ. შავდია მოხვდა.

რადგან წყალში ხტომის გეოგრაფიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ურიგო არ იქნება, თუ სპორტსაზოგადოებებსაც გადავხედავთ: საუკეთესოთა სამეულში განთიადელებს ყველაზე მეტი — 7 ადგილი უკავიათ, დინამოელებს — 3, ხოლო ბურევესტნიკელებს და თბილისის განათლების სამმართველოს — თითო-თითო.

გუნდურ პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა გაიმარჯვეს, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთის, ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლები.

ა. რაჭველიშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები

ქალები. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ე. ბილიოვა („განთიადი")—463,29, ლ. გასპაროვა („დინამო") — 446,63, გ. ლომიძე („განთიადი") — 438,87; **კოშკი.** ბილიოვა — 409,81, ლომიძე — 389,31, გასპაროვა — 368,19.

ვაჟები. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ა. გალუსტიანი („ბურევესტნიკი") — 590,94, გ. მასლოვი („დინამო") — 580,02, გ. შავდია („განთიადი") — 540,1; **კოშკი.** შავდია—495,10, პ. ყეინაშვილი („განთიადი") — 492,21, გ. შელიოგოვი — (თბილისის განათლების სამმართველო)—410,15.

ა. ი. ვლასენკო

ტრაგიკულმა შემთხვევამ სრულიად ახალგაზრდა, 32 წლისა, ხელიდან გამოგვაცალა რესპუბლიკის ველოსიპედისტების მოწინავე მწვრთნელი ალექსანდრე ივანეს ძე ვლასენკო.

იგი ქობულეთში დაიბადა. ბავშვობაშივე შეიყვარა ველოსპორტი. 1968 წელს სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, იყო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი. 1973 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და სამუშაოდ წავიდა აჭარაში, სადაც თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს. მის აღზრდილებს შორის არიან სპორტის ოსტატები, რესპუბლიკის პირველობათა პრიზიორები, მრავალ შეჯიბრებათა ლაურეატები, რომელთაც არაერთხელ დაუცავთ რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ა. ვლასენკოს ხსოვნა მარად დარჩება მათ შორის, ვინც მას იცნობდა.

ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია, „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭო.

ორი საკავშირო რეკორდი

მოსკოვის ოლიმპიურ ველოტრეკზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში „ოლიმპიადა-80"-ის ბრინჯაოს პრიზიორმა ტულელმა ს. კოპილოვმა 2 საკავშირო რეკორდი დაამყარა დახურული ველოდრომებისთვის: 500 მეტრზე ადგილიდან გიტში 32,604 აჩვენა და საგრძნობლად გააუმჯობესა რამდენიმე დღის წინ ალმაათელ ა. მიროშნიკოვის მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი. კოპილოვის მეორე რეკორდია 28,489 წამი — 500 მეტრზე გიტში სვლით.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მე-17 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 25 აპრილს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ბარათი) მოგება 2337 მანეთია, ოთხისთვის (1263 ბარათი) — 46, სამისთვის (23611 ბარათი) —4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (24 ბარათი) მოგება 6973 მანეთია, ოთხისთვის (2642 ბარათი) — 115, სამისთვის (72648 ბარათი)— 5.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 6 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით.

„ლელოს" მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 მაისს.

● ჭადრაკი

ვინ გახდება ჩემპიონი?

ცხაკაია, 29 აპრილი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). გუშინ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ გუნდური პირველობის ქვეჯგუფებში გაიმართა დასკვნითი ტური.

I ქვეჯგუფში შედგა V ტურის შეხვედრები: სამტრედია—აფხაზეთი 4:3, თბილისი—გორი 5,5:1,5. ამრიგად, ქვეჯგუფში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. აფხაზეთი — 18 ქულა, II. თბილისი — 17, III. სამტრედია —16, IV. რუსთავი — 15,5, V. გორი—3,5.

II ქვეჯგუფში III ტურის მატჩები ასე დამთავრდა: აჭარა — ცხაკაია 6,5:0,5, ქუთაისი —ზუგდიდი 4:3. აქ I ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა —14,5, II ადგილზეა აჭარის —12, III — ზუგდიდის — 11,5, IV— ცხაკაიას ნაკრები — 4.

ჩემპიონისა და პრიზიორების გამოსავლენად ახლა ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ქვეჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გასული გუნდები.

ზ. ბურკაძე,
პირველობის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ლიდერობენ

ლონგ-ბიჩში (აშშ) გრძელდება წყალბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშება. საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს იუგოსლაველებს (10:6) და ერთპიროვნული ლიდერობა იგდეს ხელთ.

ფინალი თბილისელთა გარეშე

თბილისში, „დინამოს" კორტებზე გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის.

მასპინძელთაგან მეოთხედფინალამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა — მარინე მალაციძემ და პაატა სეხნიაშვილმა მიაღწია. მალაციძემ 13 წლის ა. ხოლიკოვასთან (ჩეხოსლოვაკია) ორთაბრძოლის პირველი პარტია იოლად მოიგო — 6:2.

— ხშირად შეხვედრის დასაწყისში მოპოვებული დიდი უპირატესობა ცუდ სამსახურს უწევს დაწინაურებულს, ერთგვარად ადუნებს მის ყურადღებას, — შენიშნა ჩოგბურთში საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა ა. ბლანკენშტეინმა, — თამაში ახლა შეიძლება სულ სხვაგვარად წარიმართოს.

მართლაც, ჩოგბურთის ხანდაზმული სპეციალისტის წინასწარმეტყველება გამართლდა.

მეორე და მესამე გადამწყვეტი პარტიები მალაციძემ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო (2:6, 1:6) მეტოქეს, რომელმაც თავისი ასაკისათვის საკმაოდ დამაჯერებელი თამაშითა და აუღელვებლობით ყველას ყურადღება მიიპყრო.

ჩეხოსლოვაკიელი პ. დუტკოვა 16 წლის ლ. სალოჟანთან დამარცხდა. ამ მომხიბლავმა რუმინელმა ჩოგბურთელმა უკვე სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივეში დამაჯერებლად გაიმარჯვა ერთნაირი ანგარიშით 2:0.

პირველობისათვის ბრძოლას განაგრძობენ აგრეთვე ტურნირის ფავორიტები — საბჭოთა სპორტსმენები ვ. მიკლაშევსკაია და ლ. ოვსეფიანი.

სეხნიაშვილს კ. ნოვაჩეკის (ჩეხოსლოვაკია) სახით გამოცდილი და ძლიერი მეტოქე შეხვდა. ამ ორთაბრძოლაში მოვლენები მალაციძე-ხოლიკოვას შეხვედრის ანალოგიურად ვითარდებოდა. აქაც პირველი პარტია ქართველი სპორტსმენის უპირატესობით წარიმართა, შემდეგ კი მდგომარეობის ბატონ-პატრონი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი გახდა. მართალია, გადამწყვეტ პარტიაში სეხნიაშვილმა ზედიზედ 3 გეიმის მოგებით შესძლო ანგარიშის გათანაბრება — 5:5, მაგრამ იმედის ნაპერწკალი ვეღარ გაღვივდა — ფიზიკურად ძლიერმა ნოვაჩეკმა მომდევნო ორ გეიმში 6 ქულა მოიპოვა. ამან გადაწყვიტა კიდეც ორთაბრძოლის ბედი პრაღელი მოსწავლის სასარგებლოდ — 4:6, 6:3, 7:5.

ნახევარფინალში გავიდა კიდევ ერთი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი — 20 წლის ი. ცესტრი, რომლის მეტოქეც რუმინელი მ. შოვარი იქნება. ნოვაჩეკი კი შოვარის თანაგუნდელ ბ. ტომას შეხვდება.

ბ. ახალაძე.

სურათებზე: რუმინელი ლუმინიცა სალოჟანი და ჩეხოსლოვაკიელი კარელ ნოვაჩეკი.
ავტორის ფოტოები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

8 მაისს

თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლის სხდომათა დარბაზში (წერეთლის პრ. № 95-ა) გაიმართება სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი: **სპორტსაზოგადოება „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის დადგენილებათა შუქზე.**

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავას ქ. 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 02215